აპლიკაცია Ostrich Learner

ანრი აკოფიანი, გიგა გაბუნია, გიორგი ჯღამაძე

ელ-ფოსტა: anri.akopiani481@ens.tsu.edu.ge

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, კომპიუტერული მეცნიერება,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქუჩა №2, თბილისი

Ostrich Learner არის მრავალფუნქციური აპლიკაცია, რომელიც ეხმარება მომხმარებლებს უცხო ენების სიტყვების ეფექტურად ათვისებაში. აპლიკაცია მომხმარებლის მიერ შეყვანილი სიტყვების საფუძველზე ავტომატურად ქმნის ტესტებს, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ და მიზნობრივ სწავლის პროცესს. ლექსიკის განმტკიცების მიზნით იყო შექმნილი ალგორითმი, რომელიც ეხმარება მომხმარებელს ადრე შესწავლილი სიტყვები გაიმეოროს. იგი დაფუძნებულია მომხმარებლის პასუხების სისწორეზე და ალგორითმი არეგულირებს ტესტების სიხშირესა და შინაარსს. გარდა ამისა შესაძლებელია პროგრესის მონიტორინგი, რაც დამატებითად ამოტივირებს პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებლებს. აპლიკაცია ხელმისაწვდომია სამ ენაზე, რაც ზრდის მის გამოყენებადობასა და კომფორტს ფართო აუდიტორიისთვის.

პროექტი აგებულია თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რადგან ყოფილიყო მისი მხარდაჭერა და გაფართოება მოხერხებული. პროექტის ფარგლებში მიზნების მისაღწევათ მთავარი გამოყენებული ტექნოლოგიები იყო:

პროგრამირების ენა: Typescript, Javascript, Python, Rust.

ტექნოლოგია: React, NestJS, Tauri.

მონაცემთა ბაზები: MySQL, MongoDB და TypeORM ბაზების აღწერისთვის.

დამატებითი ინსტრუმენტები: Git, TailwindCSS, Docker, Postman.

ტექნიკური გადაწყვეტა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ფუნქციონალს, ადვილ მხარდაჭერას და პოტენციალურ ზრდას. შედეგად, Ostrich Learner უზრუნველყოფს მოტივირებულ, სტრუქტურირებულ და მომხმარებელზე მორგებულ სწავლის პროცესს ნებისმიერი დონის მომხმარებლებისთვის.

ლიტერატურა

[1] A mind for numbers, how to excel at math and science 2014 B. Oakley 150-154

ინტერნეტ რესურსები:

[1] https://www.w3schools.com/
[2] https://v1.tauri.app/v1/guides/
[3] https://docs.nestjs.com/
[4] https://www.udemy.com/